გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

27 მარტი 2024

N 2-392

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „კერამიკა ართანასთვის“ კერამიკული ფილებისა და ნაკეთობების საწარმოს ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ჯეო ინვესტ საქართველოსთვის“ გადაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 13 მარტის N21/2616 წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შპს „კერამიკა ართანასთვის“ (ს/კ: 405029703) კერამიკული ფილებისა და ნაკეთობების საწარმოს ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 7 ივლისის №2-1027 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „ჯეო ინვესტ საქართველოს“ (ს/ნ: 405125449).

2. შპს „ჯეო ინვესტ საქართველომ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 7 ივლისის №2-1027 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა.

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს: სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, შპს „კერამიკა ართანას“ და შპს „ჯეო ინვესტ საქართველოს“.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კერამიკა ართანას“ და შპს „ჯეო ინვესტ საქართველოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. ამ ბრძანების გამოცემიდან 2 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი